საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ქართველოლოგიის ცენტრი

ტარიელ ფუტკარაძე

გამარჯვება "გლოვის ღელეში"

ილია ჭავჭავაძის "განდეგილის" ტექსტი და ქვეტექსტები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2013

ამპარტავანი, საწყალობელი, უიდეო, უპიროვნო, ბრმა ფანატიკოსი, ეგოისტი, ბოროტი, უსაქმო მლოცველი, ლაჩარი, თვითმკვლელი, დაცემული, დამარცხებული, დაღუპული, არაქრისტიანი...
კრიტიკოსთა უმრავლესობა დღემდე ამ ტერმინებით ამკობს ბეთლემელ მწირს, **არადა, ჩემი აზრით, თავად ავტორი - წმინდა ილია მართალი** - ბეთლემელ მწირს **ღვთის კაცად ხატავს** (რომელიც **რწმენისათვის მოკვდა!**).

ილია ჭავჭავაძის "განდეგილში", ასევე, შთამბეჭდავადაა აღწერილი XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში **ზნეობრივი** დაღმასვლა; **ამ ფონზე პოეტი** თანამედროვეთ (თუ მომავალ თაობებს) სთხოვს, წუთისოფელში ხორციელი ვნებების დათრგუნვასა და რწმენის სიმყარეს, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით **გადარჩება ქართველი ერი.**

რედაქტორი

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

რეცენზენტები:

პროფესორი მერაბ ბერიძე
მწერალი ზურაბ თორია

© ტ. ფუტკარაძე, 2013

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2013
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-025-8

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
Kartvelology Centre

Tariel Putkaradze

Victory in The Vale of Tears

Text and Implications of the Hermit
by **Ilia Chavchavadze**

Publishing House **"UNIVERSAL"**
Tbilisi 2013

Proud, miserable, lacking moral fibre, untruthworthy, blind fanatic, egoist, wicked, an idler who prayed, coward, suicide, sinner, defeated, perished, nonchristian…

The majority of Christians still apply these terms to refer to the Bethlehem hermit. **However, I regard that the author himself – Saint Ilia the Righteous** describes the Bethlehem hermit as **a man of God** (who **died for faith**!).

The Hermit by Ilia Chavchavadze also gives an impressive description of **moral** descending of the XVIII-XIX century Georgia; **Referring to the situatin in the country**, the poet pleads his contemporaries (or the future generation) to suppress their corporal passions of the transient world and to have firm faith, as, he believed, it was the only way for **the Georgian nation to survive.**

Editor

Prof. dr. Avtandil Nikoleishvili

Reviewers:

Prof. dr. Merab Beridze
writer Zurab Toria

© T. Putkaradze, 2013

Publishing House **"UNIVERSAL"**

19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi,Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-025-8

შინაარსი
Table of Contents

შესავალი.....7
Introduction.....7

I თეზა: ზნეობადაკნინებული ერი დიდი საფრთხის წინაშე დგება 12
Thesis I: The nation having lost morals faces huge threat...12

II თეზა: ძლიერ პიროვნებაში სულიერი საწყისი იმარჯვებს 25
Thesis II: Spirituality triumphs in a strong personality.....25

III თეზა: ცოცხალი ადამიანი სრულად ვერასოდეს დათრგუნავს ხორციელ ვნებებს.....53
Thesis III: Human beings will never be able to suppress their corporal passions.....53

დასკვნის ნაცვლად 56
Conclusion.....56

"...და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების...

მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის".

შესავალი

რწმენა პიროვნების ზნეობას ძერწავს,
ეროვნულობა კი - მეობას

სამყაროს აღქმის განსხვავებული კონცეპტუალური სისტემების (ათეისტური, სოციალ-დემოკრატიული, კომუნისტური, ეროვნული, ქრისტიანული...) გამო სხვადასხვა თაობასა თუ მკვლევარს "განდეგილის" დედააზრი განსხვავებულად ესმის[1]; ძირითადი მოსაზრებები ასეთია:

- ილიას განდეგილმა ცდუნებას გაუძლო, მაგრამ კოცნის განზრახვით მაინც დანაშაული ჩაიდინა[2];

---

[1] ი.მეუნარგიას და სხვათა მოსაზრებების შესახებ ვრცლად იხ.: **ი.ბოცვაძე,** ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბ., 1957-1958; **ლ. მინაშვილი,** ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება), თბ., 1995; **ტ.ფუტკარაძე,** რწმენისათვის სიკვდილი ანუ ბეთლემელი მწირის გამარჯვება, განთიადი, 9-10, 1995. სამეცნიერო ლიტერატურა განსაკუთრებით ვრცლადაა მიმოხილული **ნ. არახამიას** სადისერ-ტაციო ნაშრომში, რომელიც წიგნადაცაა გამოქვეუნებული: ილია ჭავჭავაძის "განდეგილი" ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, თბ., 2005; **ტ. ფუტკარაძე,** უფლისადმი ლოცვა "გლოვის ღელეში", ლიტერატრული დიალოგები: ილია ჭავჭავაძე 170, ქუთაისი, 2007, გვ. 212-218.

[2] **ი. მეუნარგია,** განდეგილი პოემა ი.ჭავჭავაძისა, გაზ.კავკაზი, 1883, # 53 (ვიმოწმებთ ი.ბოცვაძის მიერ შედგენილი წიგნიდან: "ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", თბ., 1957, გვ. 257, 263).

- თავის სუსტ ნაწარმოებში - "განდეგილში" - ილია ცხოვრებისგან განდომას ქადაგებს; ცუდია, რომ ილია ცხოვრებას შემოსწყრა... წერდა ილიას თანამედროვეთა ერთი ნაწილი (დ. სოსლანი, ე. ბოსლეველი, დ. კეზერელი, ვლ. ბაქრაძე, გ-კა...)[3];

- ილია ერთმანეთს უპირისპირებს ამქვეყნიურ ცხოვრებასა და განდეგილობას,

საზოგადოებასა და ასკეტიზმს; ილიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ დაპირისპირებაში განდეგილობა/ასკეტიზმი მარცხდება და მწყემსი ქალის სახით აქტიური ცხოვრება იმარჯვებს... სხვადსხვა არგუმენტით ამგვარ ხედვას აყალიბებენ: კ. აბაშიძე, მ. უორდროპი (მწყემსი ქალი რენესანსია), გ. ჯავახიშვილი, ვ. ბაქრაძე, ფ. რუშაველი, მ. წულუკიძე, გ. ქიქოძე, ა. ჯორჯაძე, ს. ხუნდაძე, ფანცხავა (რ. ხომლელი), ა. ხახანაშვილი, ი. გომართელი, ს. ჭილაია, აპ. მახარაძე, შ. რადიანი, პ. რატიანი, გ. აბზიანიძე, პ. ინგოროყ-ვა, ნ. ალანია, ვ. კოტეტიშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ზანდუკელი, გ. ასათიანი, ვ. გოგუაძე, გ. ჯიბლაძე, გ. კიკნაძე, ლ. მინაშვილი, თ. ბუაჩიძე, გ. გვერდწითელი, გ. გვაზავა, ტ. მოსია, მ. გაჩეჩილაძე, ზ. უძილაური, ც. ხატიაშვილი (მწყემსი ქალი ღვთისმშობლის სახეა) და სხვ.. მაგ., **ლ. მინაშვილის აზრით,** "ილია ჭავჭავაძე პოემა "განდეგილში" სხვა დიდ მოაზროვნეთა დარად ქრისტიანული რელიგიის უმთავრეს მცნებას კი არ უპირისპირდება, არამედ სწორედ

---

[3] შდრ., **კ. გამსახურდია:** ილია განდეგილის სულიერ არისტოკრა-ტობას წარმოაჩენს; განდეგილი ბერის მაღალ შუბლზე მაღალი დაფიქრებაა აღბეჭდილი; **მის წყევლაში სააქაოზე გულაცრუებული ილია ჭავჭავაძის მრისხანება ისმის"** (კ.გამსახურდია, თხზულე-ბანი, VII ტ. თბ., 1983).

ქრისტიანულ პოზიციაზე დგომით თვალსაჩინოდ უჩვენებს იმას, რომ **ქრისტეს მოძღვრების ჭეშმარიტი არსისთვის შეუთავსებელია თვითიზოლაცია (? - ტ.ფ.),** ადამიანურზე ხელის აღება, სხეულის მოშთობა ასკეზის გზით... (ლ. მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1986, გვ. 172-173). აქვეა, ჩვენი აზრით, მოულოდნელი დასკვნაც: "**მწყემსი ქალი ჭეშმარიტად ქრისტიანული პოზიციის გამომხატველია**" (ლ. მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1986, გვ. 173).

- ილიამ დახატა მორწმუნე ბერი, რომელიც დამარცხდა ხორციელი ვნებების აღზევების გამო: მ.ზარქუა (გაორებული პიროვნების ტრაგედია), მ. შენგელია (მარტო კაცის ტრაგედია), აკ. ბაქრაძე (რწმენის ტრაგედია), გ. კალან-დარიშვილი (უსასო კაცის რწმენის ტრაგედია), ნ. გრიგალაშ-ვილი (ფაქტიურად თვითმკვლელი ალტრუისტი ბერი), ლ. მაგაროტი (დამარცხებული მწირი), რ.დევდარიანი (უაზროდ დაღუპული ბერი), გ. კანკავა (ტრაგიკულად გაორებული ბერი), თ. ჭილაძე (დამარცხებული გმირი), ფ. მეტრეველი (ამპარტავნობის ცოდვაში ჩავარდნილი მწირი), ზ. კიკნაძე (ხიბლში ჩავარდნილი ბერი)...

აზრთა ასეთი სხვადასხვაობა ცხადს ხდის, რომ კრიტიკოსთა უმრავლესობა გარკვეული სტერეოტიპული სქემების მი-ხედვით იხილავდა „განდეგილს"; ტექსტის დეტალური ანალიზით თუ ქვეტექსტის გაცნობიერებით ბევრს არ უცდია **საკუთრივ ილიას პოზიციის** წარმოჩენა.

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ თანამედროვეთა დიდი ნაწილი "განდეგილს" სუსტ ნაწარმოებად თვლიდა **განდეგილობის ქადაგების გამო,** საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსები კი მას გენიალურ ათეისტურ

(მატერიალისტურ) ქმნილებად მიიჩნევდნენ **განდეგილობის დაგმობის გამო;** მაგ., **გ. ჯიბლაძე წერს:** "განდეგილობა ეგოიზმს ემყარება და ბოროტებას განასახიერებს... განდეგილმა ბუნება ვერ გააუქმა, ხოლო ბუნებამ თვით განდეგილი მოსპო"[4].

ჩემი აზრით, ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი პოემა **გენიალური ქმნილებაა არა განდეგილობის დაგმობის გამო, არამედ პირიქით, განდეგილობის დაფასების გამო;** წმინდა ილია მართალმა დიდად მორწმუნე ბეთლემელი მწირის სიმბოლური შეცოდების (მისი სიწმინდის) ფონზე **მაღალმხატვრულად წარმოაჩინა თანამედროვე საზოგადოების (ერის) სულიერი დაკნინება.** ვფიქრობ, ილიას უკანასკნელი პოემა სწორედ იმიტომაა გამორჩეული ქმნილება, რომ აქ ოსტატურადაა გადაჭრილი ადამიანში (ერთ პერსონაში) სულიერისა და ხორციელი საწყისების დაპირისპირების მარადიული პრობლემა; კერძოდ, მცირე მოცულობის ნაწარმოებში დამაჯერებლადაა დახატული სასულიერო პირის ცნობიერებაში მიმდინარე ბრძოლა ღვთაებრივსა და მიწიერს შორის, სულსა და ხორცს, მარადიულობას და ყოველდღიურობას შორის. ასევე, ნათლადაა ნაჩვენები ამ ბრძოლის შედეგი: **მწირმა დათრგუნა ხორციელი ვნება (სატანა);** მეტიც, მან საკუთარ თავს არ აპატია ფიქრისმიერი წამიერი გაორებაც კი და ხორცი სამუდამოდ დათმო სულისათვის (ვრცლად იხ., ქვემოთ).

წმინდა ილია მართალმა "განდეგილში" განიხილა სამი ცნობილი თეზა:

---

[4] გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1966, გვ. 363-366.

I. ხალხის რწმენის დაკნინების გამო მოცემულ სახელმწიფოს განადგურების საფრთხე ემუქრება. ილია ჭავჭავაძის აზრით, მლოცველებისგან დაცარიელებული ბეთლემი საქართველოა;

II. მხოლოდ მაღალზნეობრივ ადამიანს შეუძლია, ამაღლდეს ხორციელ ვნებებზე.

წმინდა ილია მართალის განდეგილი წმინდა ანტონ დიდის (და სხვა წმინდანთა) სულიერი მემკვიდრეა, შესაბამისად, ამქვეყნიური ზნეობის სახე-სიმბოლოა[5];

III. ადამიანში სულიერი და ხორციელი საწყისების მარადიული ჭიდილია; ცოცხალ ადამიანს არ ძალუს, სრულად უარყოს თავისი ხორციელი საწყისი.

ილიას მიერ დახატულმა ბეთლემელმა მწირმა მოწამეობრივი სიკვდილის ფარდი გარდაცვალებით - ხორციელი სიცოხცხლის ნება-ყოფილობით დათმობით (და არა - თვითმკვლელობით) - შეძლო ხორციელებაზე სრულად ამაღლება[6].

ავტორის ტექსტის საფუძველზე განვიხილოთ თითოეული თვლსაზრისი.

---

[5] იხ., ასევე, **ტ.ფუტკარაძე,** რწმენისათვის სიკვდილი ანუ ბეთლემელი მწირის გამარჯვება, განთიადი, 9-10, 1995, გვ. 146.

[6] შდრ., **გ. ჯავახიშვილი:** სულიერისა და ხორციელის ჭიდილში სული იმარჯვებს თუ ხორცი, ამის შესახებ ილია პოემაში არაფერს ამბობს (მსჯელობისათვის იხ. ნ. არახამია, 2005, გვ. 96).

I თეზა.
ზნეობადაკნინებული ერი დიდი საფრთხის წინაშე დგება

ვფიქრობ, პოემის შესავალისა და დასკვნითი ნაწილის შეპირისპირებით ცხადლივ ჩანს **"განდეგილის" დედააზრი** (მთავარი მიზანი): **საქართველოში ზნეორივი კრიზისია;** ზნეობადაკნინებული ერი კი დიდი საფრთხის ქვეშაა:

შესავალი:

" აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.

დასკვნა:

"...და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების...
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის".

ილიას მიერ დახატული ბეთლებელი მწირი - ზნეობრივი სისპეტაკის სიმბოლო - რწმენისათვის კვდება. **ზნეობრივი გმირის გარდაცვალების შემდეგ მის სამყოფში ნადირი იბუდებს;** ამ ფონით ავტორი გვეუბნება:
ქართველი ერის შვილები ქვეყნისათვის მლოცველნი თუკი არ იქნებიან, საქართველოს კატასტროფა მოევლინება - **საქართველოში მხეცი დაიბუდებს.**

წმინდა ილია მართალი თავის წერილებშიც ავითარებდა ამ თვალსაზრისს; მაგ., 1987 წლის 16 აპრილს გამოქვეყნებულ

სტატიაში: **"ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის"** ის წერს:

"თუ რენონის მიერ ჩამოთვლილი სათნოებანი დედაკაცობისა, თუ მამაკაცობისა, აქა-იქ საზოგადოებაში დარჩენილნი, არ არიან თავმდებნი **ბევრ წილად მიხრწნილის ერის გამოკეთებისა, გამობრუნებისა** (ხაზი ყველგან ჩემია - ტ.ფ.), ამ სათნოებათა არქონა კი უსათუო ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგიდან ასაგველად გადადებულია... ამიტომ ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: **სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა.** ამაზედ უნდა მოიქცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა..."[7].

უშუალოდ "განდეგილთან" კავშირში ილიას მსგავსი აზრი გამოუთქვამს თავის ბიოგრაფთან - გრ. ყიფშიძესთან - პირად საუბარში; კერძოდ, გრ. ყიფშიძის ხელნაწერში ვკითხულობთ:

"...ილიას აზრი ეს იყო და ეს გვიანდერძა თავისი განდეგილით: გიყვარდეთ თქვენც თქვენი უმაღლესი სარწმენი, ***როგორც უყვარდა განდეგილს ღმერთი და სიწმინდე სულისა*** *და თუ რამე დააშავეთ რამ იმ სარწმენის წინაშე, წინაშე თქვენის იდეალისა, თუ სასიცოცხლო პირი გექნებათ, სულის აღშფოთებამ, თქვენმა სულის მხილებამ ისე უნდა გაგაქროთ, როგორც გააქრო განდეგილი..."*[8]

---

[7] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი IX, 2006, გვ. 247-248.

[8] ვიმოწმებთ დ. გამეზარდაშვილის ნაშრომიდან "ილია ჭავჭავაძის ორი სადავო ფსევდონიმის შესახებ"; განთიადი, #3, გვ. 117.

შდრ.: **სულის მხილებამ** ხორციერლად გააქრო განდეგილი (განდეგილში სულიერებამ გაიმარჯვა).

სამწუხაროდ, გამოქვეყნებულ მოგონებებში გრ. ყიფშიძის ხელნაწერის ეს მონაკვეთი არ დაბეჭდილა; ჩანს, გრ. ყიფშიძის მოგონებების **გამომცემელმა კიტა აბაშიძემ ამოიღო** (კიტა აბაშიძე რატომღაც მიიჩნევდა, რომ ილიამ მწყემს ქალს გაამარჯვებინა და არა - განდელილის სულიერებას).

კიტა აბაშიძის კვალად, **დავით გამეზარდაშვილიც** არგუმენტის გარეშე წერს, რომ განდეგილისადმი ილიას დადებითი დამოკუდებულება გრ. ყიფშიძის მიერაა შეთხზული (გრ.ყიფშიძემ ეს აზრი ილიას მიაწერაო) და ამიტომაც ეს მონაკვეთი გამოქვეყნებულ ვერსიაში სამართლიანად არ შეიტანა კიტა აბაშიძემო[9]...

ვფიქრობ, **არ არსებობს საფუძველი,** რომ ეჭვი შეეტანათ გრ. ყიფშიძის ამ მოგონების რეალურობაში; მეტიც, უფრო სწორი იქნება, თუკი ვიტყვით:

განდეგილის შეფასებაში **სწორედ კიტა აბაშიძე აყალბებს ილიას პოზიციას.** ილიას მიზნად რომ დაესახა **მწყემსი ქალის სახით ამქვეყნიური ცხოვრების გამარჯვება,** არ შეცვლიდა მეუდაბნოე ბერის ლეგენდის - ხალხური ვარიანტის - ფაბულას /რომლის მიხედვითაც მეუდაბნოე ბერმა მწყემსი ქალი ცოლად შეირთო/[10].

---

[9] დ. გამეზარდაშვილი, "ილია ჭავჭავაძის ორი სადავო ფსევდონიმის შესახებ"; განთიადი, #3, გვ. 117.

[10] ხალხური ვარიანტების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ., ნ. არახამია, 2005, გვ. 28-36. პოემის სიუჟეტის განვითარებიდან ჩანს, რომ ილიასთვის მწყემსი ქალი მხოლოდ **ხორციელების აღბორგების მესამე დონის ეპიზოდური კატალი-**

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ **მწირის შესახებ პოემად ჩამოძერწილი ლეგენდა** ეძღვნება ილიას დიდ მეგობარს - მეუღლესა და თანამოაზრეს - ოლღა ჭავჭავაძისას; ვფიქრობთ, ამ მიძღვნით პოემაში თავიდანვე ცხადდება ილიას აქცენტები **მაღალ ზნეობასა და საქვეყნო წუხილზე** (ამ პოემაში ნამდვილად არ ჩანს მყინვარისა და თერგის დაპირისპირების მსგავსი ოპოზიცია ასკეტიზმისა და "აქტიური ყოფითი ცხოვრების" სახით).

ნაწარმოების 28 თავიდან პირველი ექვსი პოემის შესავალი ნაწილია; აქ მოთხრობილია **ბეთლემის**, სიმბოლურად, საქართველოს სულიერი ისტორია, რომელიც მოკლედ ასე გადმოიცემა:

გასულ საუკუნეებში "ბეთლემში" უფლისა და ქვეყნისთვის მლოცველი ბევრი ბერი იყო; ისინი "გასულან ამა ქვეყნით"; შემდეგ იქ დამკვიდრებულა ერთი წმინდა ბერი, რომელიც უფალს ლოცვით შესთხოვდა, ეხსნა ქვეყანა.

მომდევნო VII-XXVIII თავებში წარმოჩენილია ამ ერთადერთი მლოცველის შინაგანი სიმართლე და უზომო პატიოსნება:

ბერმა მძაფრად განიცადა (შეინანა!) **ხორციელი ცდუნების პერსპექტივა** (ბერი ქალს არც კი შეხებია!) **და ეპატია კიდეც წამიერი გაორება;** შდრ., მსოფლიოში არსებულ მსგავსი თემატიკის სხვა ნაწარმოებებში ბერი/მღვდელი ქალს კოცნის, აფეხმძიმებს... **და მაინც მიეტევებათ!** უფლისგან პატიების მიუხედავად (ნუგეშით გადმომზირალი ღვთის-მშობლის ხატი!) უსპეტაკესმა მწირმა სულ დათმო

ზატორია, რომელსაც შემდეგ სატანის ხარხარი მოსდევს (მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ).

ხორციელი ქვეყანა და უფალს მიებარა... ამის შემდეგ პოემის **დასკვნით 8 სტრიქონში** მკაფიოდაა ნათქვამი:

წმინდა ადამიანების/ადამიანის საცხოვრისში - ბეთლემში - საღვთო სახლში (ვიგულისხმოთ - საქართველო) **დღეს ნადირნი არიან დაბუდებულნი...**

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ამ პოემით ილია გარკვევით გვეუბნება: **საქართველოში ადრე ბევრი წმინდა ადამიანი ლოცულობდა ქვეყნისთვის** (და საქართველო არსებობდა!); **უახლოეს წარსულში ბეთლემში ქვეყნისთვის მლოცველი ერთი წმინდა ბერი იყო** (რომელმაც ლამის ღვთიურ სიმაღლეს მიაღწია) **რომლის ღვაწლით საქართველოში უფლისადმი ლოცვა** /ანუ საქვეყნო ღვაწლი/ **გრძელდებოდა;** ბერის სიკვდილის შემდეგ კი ქვეყნისთვის მლოცველი აღარავინ დარჩა - **დღეს საქართველოში სრული სულიერი კრიზისია,** შესაბამისად, კატასტროფა გველის[11].

ნაწარმოებში ავტორი უშუალოდაც გვანახებს მწირს - ქვეყნისთვის მლოცველს:

"შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჭექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით...
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთისმშობლის ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა
წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა..."

---

[11] ილია ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში წერს: "უზარმაზარი თხრილია ჩვენს წინ, ქართველების წინ და აინუწშიაც არ მოგვდის" (1897 წ).

ილიას მწირი ქვეყნიერების (თუ სამშობლოს) ხსნაზე მოფიქრალი ფილოსოფოსია[12]; შესაბამისად, აშკარაა, რომ ილიასთვის ბერობა არ არის "თვითიზოლაცია". ზეცად აღვლენილი ბერთა ლოცვა მისთვის ქვეყნის "ჯავშანია", ხოლო ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანი - ქვეყნისთვის მებრძოლი გმირი.

„როცა პიროვნების სრულყოფის პროცესი დამთავრდება, მერე იწყება ერის ხსნა“ - **წერს აკ. ბაქრაძე.** პიროვნების სრულყოფის პროცესი მარადიულია; შესაბამისად, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით:

პიროვნების სრულქმნა და ერის აღზევება თანადროული პროცესებია; ბერობის გზა სრულყოფის გზაა, შესაბამისად, ბერად ცხოვრება ქვეყნისთვის სამსახურის პროცესია.

შდრ., აგრეთვე:

“ბერების ლოცვით ღმერთი იცავს სამყაროს.... ვაზი ერთ გამხმარ სარს ეყრდნობა. გამოაცალეთ ვაზს სარი, რტო მიწაზე ჩამოვარდება და ვერ მოიტანს ნაყოფს. გამოაცალეთ ბერმონაზვნობა სამყაროს და რა მოუვა მას, თავად განსაჯეთ"[13].

ბერების საცხოვრისი ხალხისთვის წმიდა ადგილია: **ერის სიყვარულით დაფასებულია განდეგილთა ზრუნვა სოფლისთვის.** აშკარაა, რომ „ილიას შემოქმედებაში ქრისტიანული ზნეობა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის

---

[12] შდრ.: **მზია შენგელია:** „განდეგილი არ არის ქვეყნის ხსნაზე მოფიქრალი, სულით ამაღლებული ალტრუისტი“.

[13] დიმიტრი როსტოველი, სწავლანი, წიგნიდან “ბერმონაზვნობა”, თბ., 1998, გვ.8, გამომცემლობა “სამება”.

მხსნელ მოძღვრებად“ [აკ. ბაქრაძე, 1985]. **წმინდა ილია მართალმა კარგად იცის, რომ ბერმონაზვნობის არსი არის უფლისადმი ლოცვით ქვეყნიერების ხსნა (გადარჩენა)"[14].**
შდრ.: **გ. ჯიბლაძის** სრულიად საპირისპირო დასკვნა:
„პოემის ფინალში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია განდეგილობის არარაობა, როცა პოეტი მეუდაბნოეთა სადგურს გვიხატავს, როგორც ნანგრევთა და ნატამალთა გროვას, რომელსაც დაჰპატრონებია მარტოოდენ ჭექა-ქუხილით დამფრთხალი ნადირი“ (გვ. 363).

ილია დიდად აფასებს ბერ-მონაზონთა საქვეყნო სულიერ ღვაწლს. შესავალში ის წერს:

"სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან...
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.
აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰღირსებიან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა".

---

[14] ბასილი დიდი, შესაქმეზე ჰომილია 53, წიგნიდან “ბერმონაზვნობა”, თბ., 1998, გვ.7, გამომცემლობა “სამება”.

თუ არა ათეიზმის უკიდეგანო ბატონობის გამო დეფორ-მირებული ადამიანური ხედვა-აღქმის სისტემა, **ამ ფრაზის წაკითხვის შემდეგ როგორ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ილია განდეგილობას გმობდა?**

აშკარაა, რომ ილია უდიდეს შეფასებას აძლევს ბერების "წმიდა-წმიდათა ქებას"; კერძოდ, ხაზგასმით ამბობს:

თავისი საღვთო (შესაბამისად, დიდი საქვეყნო) **ღვაწლით** ეს მამები ღირსი გახდნენ, რომ საუკუნო სავანეში - მარადიულ სამყოფელში - **დამკვიდრებულიყვნენ უფლის გვერდით "მართალთა თანა";** მათ ისე დიდ პატივს მიაგებს ერიც, რომ ბერების საცხოვრისს ხალხი წმინდა ადგილად მიიჩნევს; ტაძარს ერისთვის დიდი მადლი აქვს:

"იმათის ღვაწლით ამ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან განთქმულა"...

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული შეხედულების შესაბამისად, **ბერმონაზვნობა ადამიანად ყოფნის ყველაზე მაღალი საფეხურია** (გრიგოლ ხანძთელს მეფეც კი ემორჩილება); ხორცის გვემით განსპეტაკებულ განდეგილთა ლოცვა ერის /საზოგადოების/ მხსნელ სულიერ ძალებს აძლიერებს; ბეთლემელი მწირიც
„ცრემლით ალტობდა ღვთისმშობლის ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა
წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა“.

ილიასთვის განდეგილობა საღვთო საქმეა და მისი მოშლა ქვეყნისთვის უბედურებაა. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს რომ ერთ-ერთ ვარიანტში „მწირის“ სინონიმად, **„ღვთის**

კაცი“ აქვს გამოყენებული. თავად ილიასაც ახალგაზრდობაში ბერად შედგომა სურდა.

თანამედროვეებმა და მომდევნო - მეწშევიკურმა თუ საბჭოთა - თაობებმა ვერ გაუგეს ილიას და ვერც გაუგებდნენ: 1907, 1918 (დამფუძნებელი კრება) და შემდგომმა წლებმაც დაადასტურა, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში შემოსულმა და დამკვიდრებულმა ანტი-ღვთაებრივმა სოციალურ-დემოკრატიულმა "გლობალიზმმა" დაამარცხა ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებები[15]. ათეისტურ ველში "განდეგილის“ ვერგაგება ნიჭიერად „გაამრავალფეროვნეს“ საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსებმა: მწყემსი ქალი შეუპირისპირეს თერგსა და დღეს, ხოლო განდეგილი - უძრაობასა (პასიურობასა) და ღამეს... სინამდვილეში თერგი ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური მოღვაწეობაა, „მწყემსი ქალი“ - პრიმიტიული ყოფითი სიცოცხლის სიმბოლოა, ხოლო განდეგილი - **აქტიური სულიერი მოღვაწეობის სიმბოლო.**

აქაც უნდა აღვნიშნოთ:

---

[15] რა თქმა უნდა, საქართველოს ოკუპაცია-ანექსიასა და ათეიზმის დამკვიდრებაში დიდი იყო გარედან მოსული იმპერიული ძალის როლი (თეთრებისა თუ წითლების აგრესიები), მაგრამ ფაქტია, ისიც, რომ ქართველობამ ვერ გაუძლო მტრის შემოტევას იმიტომაც, რომ ათეისტი დამპყრობლების მხარეს ბევრი ქართველი დადგა. **ათეისტურ იმპერიაში ყოფნას სრული კატასტროფა მოჰყვებოდა, რომ არა - 80-იან წლების საქართველოს დიდი ქრისტიანული და ეროვნული გამოღვიძება;** ამ თვალსაზრისით უდიდესი ღვაწლი აქვს ორ პიროვნებას: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორესა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელს ზვიად გამსახურდიას.

ამ ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათის პოემაშიც ილია აშკარად ეროვნულ მწერლად რჩება; პოემაში ასახულია იმდროინდელი საქართველოს სულიერი ყოფა (ოღონდ არა ალეგორიულად, როგორც უწერიათ მარჯორი უორდროპს და აკაკი ბაქრაძეს); ნაწარმოები თანამედროვეებს პირდაპირ მოუწოდებს ბეთლემისაკენ - წმინდა ცხოვრებისაკენ.
ილიას მიერ დახატულ წმინდა მეუდაბნოეს, წინამორბედთა მსგავსად, "ხორცი სულისთვის უწამებია", კერძოდ, "ვით ჭურჭელი იგი წყმედილი, ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია" - **უკეთ შეუძლებელია ადამიანის განწმენდის პროცესის მაღალმხატვრული აღწერა.**
ბეთლემში მწირის მისვლით გაგრძელებულა "მუნ ლოცვის ცრემლი" ანუ კაცობრივი სინანული უფლის წინაშე:

"დღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა **ღელესა მას გლოვისასა"...**

აქ არსებითი მნიშვნელობისაა ბიბლიური თემის შემოტანა:
ლოცვის ცრემლი არ შემწყდარა **ღელესა მას გლოვისასა.**
ვფიქრობ, სწორედ ეს ფრაზაა მთავარი "გასაღები" ნაწარმოების დედააზრის გასახსნელად:
მწირის გარდაცვალების შემდეგ "ლოცვის ცრემლი" წყდება "ღელესა მას გლოვისასა"...

აშკარაა, რომ ილიასთვის "ლოცვის ცრემლი" ანუ **მონანიე ცრემლიანი ლოცვა** განწმენდის გზაა, რომელ გზამაც უნდა იხსნას ეროვნული სიცოცხლე **გლოვის ღელეში**[16].

რას ნიშნავს **"გლოვის ღელე"?**

მხატვრული სახე "გლოვის ღელე" გვხვდება "დავითნის" 83-ე ფსალმუნში, კერძოდ, მე-6-8 მუხლებში ვკითხულობთ:

*"ნეტარ არს კაცი, რომლისა შეწევნა მისი შენგან არს; აღსლვა გულსა თვისსა დაიდვა **ღელესა მას გლოვისასა,** ადგილსა მას, რომელსაცა აღუთქვა, და რამეთუ კურთხევაი მოსცეს, რომელმანცა შჯული დადვა. ვიდოდიან იგინი ძალითი ძალად, და გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმერთთა სიონს..."*

ბიბლიის კომენტარების მიხედვით, **გლოვის ღელე,** გლოვის მხარე არის დევნილობის მხარე, ანუ სამოთხიდან გამოძევებული ადამიანის საცხოვრისი[17]. **გლოვის ღელე**

---

[16] "გიხაროდენ, წინაშე ღვთისა ლოცვასა შინა ცრემლთა დამთხევე-ლო წმიდაო მღვდელმოწამეო კვიპრიანე, მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩვენთათვის" (დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა მღვდელმოწამისა კვიპრიანე კართაგენელისა და ქალწულმოწამისა იუსტინესი, იკოსი 5, თბ., 1996, გამომცემლობა "ჯვარი").

[17] «НО НЕ ЛИШЕН БУДЕТ БЛАЖЕНСТВА И ТОТЬ, КТО СВОЮ СИЛУ ЧЕРПАЕТ В ТЕБЕ, ХОТЯ БЫ БЫЛЬ ДАЛЕКО ОТ ХРАМА: ИЗ ДОЛИНЫ СЛЕЗЬ, КОТОРАЯ ЕМУ НАЗНАЧАНА ОТ БОГА, Т. Е. ОТ МЕСТА СВОЕГО ИЗГНАНЯ, ОН СТРЕМИТСЯ ВЫЙТИ, ПОДНЯТСЯ НА ГОРУ, НА КОТОРОЙ СТОЯЛ КИВОТЬ ЗАВЕТА, Т. Е. СИОН. ТАКОЕ ИСКРЕННЕЕ, СЕРДЕЧНОЕ ВЛЕЧЕНИЕ КО ХРАМУ ГОСРОДЬ БЛАГОСЛОВИТ: ВСЕ ИЗГНАННИКИ УКРЕПЯТСЯ И ЯВИТСЯ ИМ В СИОНЕ ГОСПОДЬ, Т. Е. ОНИ БУДУТ ВОЗВРАЩЕНЫ И ИХ ИЗГНАНИЕ ОКОНЧИТСЯ» /ПСАЛОМ 83,6; ТОЛКОВАЯ ВИВЛИЯ, Т. 1 ПЕТЕРБУРГ 1904-1907; ВТОРОЕ ИЗДАНИЕ СТОКГОЛЬМ, 1987 г./.

ცოდვილი წუთისოფელია[18]**,** სადაც სინანულიანი ლოცვა ადამიანის მთავარი მოვალეობაა; ე. ი. დედამიწაზე/ საქართველოში ლოცვა არ უნდა შეწყდეს!

ბერები ქვეყნისთვის (მოყვასისათვის) ლოცულობენ, კაცობრივ ცოდვებს ინანიებენ; მონანიე, მლოცველი ერთი ბერის არსებობაც კი ამქვეყნად ადამიანური სინანულის უწყვეტობის გამოხატულებაა; შესაბამისად, ილიას მწირის გულწრფელი ლოცვა საქვეყნო სინანულია (წმინდანის ლოცვა, ყველას გადასარჩენი ლოცვაა)...

შედარებით თავისუფალი ქართული თარგმანი ასე გამოიყურება: უფალო, "ნეტარება არ მოაკლდება მას, ვინც შენით საზრდოობს, თუგინდ შორს იყოს ტაძრისგან - ვიდოდეს გლოვის/ცრემლების ხევში/ღელეში, რომელიც (გლოვის ღელე) მისთვის შენგანაა განკუთვნილი, ე.ი. იმყოფება განდევნილობის ადგილზე... თავისი დევნილობის ამ ადგილიდან ის ცდილობს გამოვიდეს და დაბრუნდეს მთაზე, სადაც დგას სჯულის კარავი/კოდობანი ანუ სიონი. უფალი აკურთხებს ასეთ გულითად ლტოლვას ტაძრისკენ: გამოდევნილები სულიერად გაძლიერდებიან და სიონში მათ გამოეცხადება უფალი; ე.ი. ისინი განდევნილობიდან დაბრუნდებიან და დამთავრდება მათი დევნილობა"... **ნათელია, რომ გლოვის ხევში/ღელეში უნდა ვიგულისხმოთ ადგილი, სადაც უფალმა განაწესა ხალხი სამოთხიდან განდევნის შემდეგ.**

[18] ღელე - დაცემული, ჩავარდნილი ადგილი, ხევი... მოცემულ კონტექსტში ღელე უფრო მხარეს, ქვეყანას ნიშნავს: გლოვის მხარე - წუთისოფელი (იგივეა რაც სამსხემო კედარი); შდრ. ი.ლოლაძე, მრავალკარედი, 1984, გვ. 194-196: ილიამ ბეთლემის ყინულეთის ქვაბნაშენი შეადარა გლოვის ღელეს - ბიბლიურ გეოგრაფიულ ადგილს, სადაც დავით წინასწარმეტყველმა დაამარცხა ფილისტიმელთა ლაშქარი. შდრ., აქვე: **ი. ლოლაშვილისგან** განსხვავებით, ჩემი აზრით, **დიმიტრი ბაგრატიონს** ბიბლიური "გლოვი ღელე" სწორად აქვს გააზრებული: **სამოთხიდან გამოდევნილი ადამის საცხოვრისი.**

ილიას პოემაში ხაზგასმითაა ნათქვამი:

ბეთლემელი მწირის ტაძარში მისვლის შემდეგ "გლოვის ღელეში" ადამის ძის ლოცვა და სინანული გაგრძელებულა.

ილია ჭავჭავაძისთვის ბერმონაზვნობა უდიდესი ეროვნული ღვაწლია.

II თეზა.
ძლიერ პიროვნებაში სულიერი საწყისი იმარჯვებს

„განდეგილის“ ერთ-ერთი მთავარი თემა ადამიანის იმანენტური /ბუნებრივად კოდირებული/ გაორებული არსის ჩვენება და ამ გაორების დაძლევაა. ბიბლიისა და "დავითნის" კარგად მცოდნე წმინდა ილია მართალის ბეთლემელი მწირი წმინდანის დარად დასძლევს ხორციელ საწყისს[19]. ამის დასაბუთებას ეძღვნება "განდეგილის" VII-XXVIII თავები. პოემის ამ განზომილების მოკლე შინაარსი ასეთია:

ღვთის სახლში (ბეთლემში) წმინდა ბერია. ბერის სიწმინდის დასტურად ილიას ნაწარმოებში ქალი შემოჰყავს - ეპიზოდური პერსონაჟი, წუთისოფლის სიმბოლო (და არა "ქრისტიანობის სიმბოლო" თუ "ღვთისმშობლის სახე", როგორც ეს ზოგ თანამედროვე კრიტიკოსს ჰგონია). ხორციელი ქალის მშვენება ააქტიურებს ბერში ამქვეყნიურ ფიქრებს, ხორციელ განცდებს; შემდეგ ბერს სატანაც ეცხადება და ხარხარით ცდილობს დათრგუნოს განდეგილი **/ასეთ დროს წმინდანიც კი გაორებას განიცდის/**...

ბერი მალევე მოერევა ხორციელ მეს და მწარედ განიცდის ამ გაორებას: გარეთ გავარდება იმ ოთახიდან, სადაც ქალს მაცდურად ეძინა და ქარიშხლიან ღამეში დილამდე კლდე-ღრეში იხეტიალებს; დილითაც იქ ჩანს:

---

[19] **შდრ., გ.რობაქიძე:** განდეგილი გიორგი მთაწმინდელს მაგონებს, შეუდარებელ სახეს ქართველ წმინდანისა, ლოცვებში შინაგან ანთებულსა...

"ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურძგნული?
ნუთუ მწირია?.. იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული..."

ვფიქრობ, ეს ეპიზოდი ილიასეული მწირის მძაფრი სინანულის ამსახველია: მწირი ღმერთს მიბარებული მონანიე ცოდვილია და არა - ხიბლში ჩავარდნილი ამპარტავანი, (როგორც ეს ჰგონია ზურაბ კიკნაძეს). ამ სინანულის გამო ეპატია ბერს და ნიშნად ამისა, **ეჩვენა მადლით გადმომზირალი ღვთისმშობლის ხატი.**

ანალოგიური ხასიათის ნაწარმოებებს შორის (ემილ ზოლასა „აბე მურეს შეცოდება“, ანატოლ ფრანსის „თაისი“, ლევ ტოლსტოის „მამა სერგი“, მიხეილ ლერმონტოვის „დემონი“, დე ვინის „ელოა“, გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტონის განსაცდელი“...) ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ გამოირჩევა „შეცოდების“ **„აბსოლუტური პირობითობით“:**
ნაწარმოებში ევას მიერ ადამის შეცდენის უძველესი თემა სახარებისეული სიმაღლითაა გაშლილი და გადაწყვეტილი: შეცოდება იმპულსურ, არაცნობიერ დონეზეა; მწირს ფიქრშიც კი არ დაუშვია ქალის ალერსი; მხოლოდ ერთხელ მექანიკურად დაიხარა საკოცნელად და „უცებ გაშეშდა.. ეჰა, წაწყმედავ“! გაორება იმწამსვე დაიძლევა:

„არა და არა! არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!“

ხორცი სულისაგან წამშივე (და)იძლევა; მაცდური ხორციელება კი უკიდურესი ზომით ისჯება - მწირი სამუდამოდ განეშორება ხორციელ სამყაროს[20]. მანამდე, ილიას ამ გენიალური ქმნილების გმირი - ღვთის კაცი ბერი - **გაორებისა და ცდუნების ოთხ საფეხურს გაივლის:**

1. პირველ ეტაპზე ბერი მხოლოდ წამიერად **დატყვევდა ავდრის წინა მზის სილამაზით:**

"მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით **ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას,**
შესცქერდა მზესა განცვიფრებული".

ავტორის მიერ მიზანმიმართულად გამოყენებული ფრაზა: "**წარტყვევნილ იქმნა**" გვიჩვენებს, რომ განდეგილი მისდაუნებურად გვერდიგვერდ აყენებს უფლის ხატსა და ამქვეყნიურ "ხორციელ" მზეს. ეს ეპიზოდი არის მწირის გაორების პირველი ეტაპი.

---

[20] „ყველამ, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში.. თუ გაცდუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადააგდე (მათე, 5,28-29).

2. გაორების მეორე ეტაპი არის ფრაზა: **"მე უბედურსა":** სიბნელიდან შემოხეტებულ მწყემს ქალთან საუბარისას მწირს გაახსენდა წუთისოფლის სიამენი, თუმცა იქვე თქვა, რომ **"სული ტყვე არის წუთისოფლისა";** ამის მიუხედავად, მაინც წამოსცდა გაორების ნიშანი-ფრაზა:

„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო **მე... უბედურსა...“**
თუმცა მან ეს წამონაცდენიც მაშინვე მოინანია.

3. გაორების მესამე ეტაპზე ბერი უკვე ქალის ხორციელმა სილამაზემ დაატყვევა:

"და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს?
ის სახე ატკბობს თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!"

შდრ.:
"სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება..."

ქალის სილამაზე საკოცნელად იწვევს:
"და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა..."

მწირმა კი გაუძლო:
ამ შემთხვევაშიც წამიერი გაორება დაიძლია, ვინაიდან მწირმა მაშინვე დათრგუნა კოცნის სურვილი. **ცდუნების დაძლევის შემდეგ ხორციელი გული**[21] **"მკვდარია"** /შეცოდება გაცნობიერებულია/:

არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და **არ დაუთმობს**
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!

მაგრამ ეს რაა?.. „წაწყმდა თუ არა!..“ -
ეს ვინ ჩასძახის ნიშნგებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!..“ - ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის **მკვდარ გულში!**

უნდა ითქვას, რომ ამ მომენტში მწირის არსში ყველაზე მძაფრია (ტრაგიკულია) ხორციელებისა /მზე, წუთისოფელი, ქალი/ და სულიერი საწყისის დაპირისპირება; თუმცა, რამდენადაც აქვე გული უკვე მკვდრადაა განხილული, ნაჩვენებია, რომ სულიერებამ გაიმარჯვა - ხორციელი მისწრაფება დამარცხებულია. ეს ასპექტი გამოკვეთილია ღვთისმშობლის ხატთან მისვლის სცენაშიც:
"ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...

---

[21] სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ილიასთან დიფერენცი-რებულია ხორციც: **ხორცი - თვალი** და **ხორცი - გული.** თვალი მალე ტყვევდება მიწიერი სილამაზით: ერთ შემთხვევაში - მზისგან, სხვა შემთხვევაში - ლამაზი ქალისგან; გული ხან სულს ემორჩილება, ხან - თვალს (ვრცლად იხ., ქვემოთ).

და ვაი, წმიდა ღვთისმშობლის ნაცვლად
თვალწინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ჰხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუთუ მის ცოდვით თვით წმიდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
პირჯვარი უნდა - ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა - ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს - და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!"

"იგივ... იგივ..." ნაკლულევან სიტყვებთან ავტორი შემთხვევით არ სვამს სამ წერტილს; აქ გაორება საბოლოოდ იძლევა რასაც ადასტურებს ქალის ეპითეტი: **წყეული.** ავტორმა/მწირმა ქალს წყეული, მაცდური უწოდა... ანალოგიური პასაჟია "აბე მურეს შეცოდებაშიც".
საინტერესოა **ილიას ჭოჭმანიც,** თუ სად დაესვა წერტილი გაორებისათვის:
პოემის ერთ-ერთ ვარიანტში ილია "**ქალი წყეული**ს" ნაცვლად წერს: **ქალი ლამაზი.** თუკი ამ ეპიზოდში ავტორი დატოვებდა "ლამაზს", ე.ი. გაორებისთვის წერტილი სხვაგან უნდა დაესვა. პოემის ბოლო რედაქციაში სიტყვა-ფორმით: "წყეული" წმინდა ილია მართალმა მწირის გაორება დაასრულა ღთისმშობლის ხატთან, მაგრამ ღვთისმშობელი მას მაინც არ ეჩვენა. მწირის გამოცდისა თუ გაორების მეოთხე ეტაპი - ეშმაკის ფსიქოლოგიური ზეწოლა - წინ იყო;

პატიებამდე ბერს ეშმაკის ზემოქმედებისათვისაც უნდა გაეძლო.

4. **ეშმაკის ფსიქოლოგიურ ზეწოლას ილია ასე გადმოგვცემს:**

„აბა სძლიეო!..“ და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

განდეგილი ისევ დროებით ითრგუნება; იგი მალე, ერთ ღამეში, სძლევს ეშმაკს (სხვა ავტორთა სასულიერო პირები დღეებისა თუ თვეების მანძილზე ვერ ერევიან ხორციელ ვნებებს):

"ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუიქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ **მზის სხივი იმავე სვეტად**
ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.

გულზედ მოეშვო... კვლავ სითბოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა..."

მწირი ქალს გაერიდა და გათენებამდე იხეტიალა კლდე-ღრეში. საღამოს ღვთისმშობლის ხატში ქალს თუ ხედავდა, დილით "**კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი მადლით,**

ნუგეშით გადმომზირალი"... შესაბამისად, გათენებამდე ხეტიალი ავტორის მიერ სინანულადაა გააზრებული (შდრ., ნოდარ გრიგალაშვილის ინტერპრეტაცია); სინანულის შემდეგ ეჩვენა ღვთისმშობლის სახე; მსგავსი ეპიზოდია აბე მურესთანაც:

წუთისუფლის ვნებების კონცენტრირებულ სახე-სიმბოლოსთან[22] - ქალთან - წამიერ მიახლოებას (არც კი უკოცნია!) ინანიებს ილიას განდეგილი; სინანულის ნიშნად დილამდე ის ქარაშოტში "ჰრბის, დაძრწის, ტანტალებს"... თავსხმაში მისი გათენებამდე ხეტიალი **მორწმუნისათვის აუცილებელი სინანულია; პოემაში** - მხატვრულ საერო ნაწარმოებში - **სინანული მოკლე, მაგრამ** მძაფრი ეპიზოდითაა გადმოცემული (და არა აგიოგრაფიული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი სტილით). ვფიქრობ, პოემის სწორედ ეს ეპიზოდი შეიცავს მწირის "თვალთდაბნელების" შემდეგ აღძრულ დავითისეულ სინანულს:

"უფალო, შენ წინაშე არს ყოველი გულისთქმა ჩემი და სულთქმა ჩემი შენგან არა დაეფარა. გული ჩემი შეძრწუნდა და დამიტევა მე ძალმან ჩემმან, და ნათელი თუალთა ჩემთა, და იგიცა არა დაადგრა ჩემ თანა... ნუ დამაგდებ მე, უფალო ღმერთო ჩემო, და ნუცა განმეშორები ჩემგან. მოიხილე

---

[22] ადამიანთა საცდუნებელია წუთისოფელი, ხორცი, ეშმაკი: "გიხაროდენ, ამა სოფლისა, ხორცთა და ეშმაკისაგან მომდინარე ყოველგვარ ცილისწამებათა და საცთურთა განმაოტებელო" (დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა მღვდელმოწამისა კვიპრიანე კართაგენელისა და ქალწულმოწამისა იუსტინესი, იკოსი 8, თბ., 1996, "ჯვარი"; იხ., იქვე, კონდაკი 12.: "მოგვანიჭე ჩვენ ძლევაი სოფელსა და ეშმაკსა ზედა").

შეწევნად ჩემდა, უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო" (დავითნი, 37, 10-11, 39-40).

შდრ., აბე მურე:

ემილ ზოლას გმირი ალბინესთან მრუშობს და თან ღმერთს გმობს, ღმერთის არარსებობას ამტკიცებს... მონანიების შემდეგ მაინც მიეტევა; **მონანიე მღვდელი საოცრად ჰგავს მონანიე მწირს:**

"უკან, პარადუში მიბრუნდება აბე მურე, მაგრამ მასში საბოლოოდ დამარცხებულია სისხლსავსე სერჟი; ალბინე სამოთხისებრ ბაღში უსიტყვოდ იდგა ამ უბედურის პირისპირ, რომელიც მის ფეხებთან ცახცახებდა"[23] .

შდრ., მსგავსი ეპიზოდი წმინდანთა ცხოვრებიდან:

"წმ. ისააკი პატარა გამოქვაბულში ცხოვრობდა 7 წელი. ერთხელ, საღამოს დაინახა ორი მშვენიერი ყმაწვილი, სახე მზესავით უბრწყინავდათ. მათ უთხრეს, რომ უფლის ანგელოზები იყვნენ, თან სხვა მრავალი მათგანიც აქვე იყო. ბერმა მათაც მისცა შემოსვლის კურთხევა. მალე სენაკი ეშმაკებით აივსო. მათ დაიწყეს ხარხარი, კივილი და აქეთ-იქით ხტომა. ისააკიც მათთან ერთად ხტოდა. ცოტა ხნის შემდეგ ეშმაკებმა ხარხარით დატოვეს იქაურობა. ისააკი სამი წელი ცოცხალ-მკვდარი იყო და ბერები უვლიდნენ. გამოჯანმრთელებისა და განსაწმედელი ლოცვების შემდეგ მას ღვთისაგან მიენიჭა მადლი ელოცა შეპყრობილი

[23] ტ.ფუტკარაძე, რწმენისათვის სიკვდილი ანუ ბეთლემელი მწირის გამარჯვება, განთიადი, 9-10, 1995, გვ. 150.

ადამიანებისათვის და განეკურნა ისინი... **უდაბნოში მარტოდ მყოფმა წმიდა ანტონ დიდმაც მსგავსი რამ გადაიტანა"[24].**

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, მწირის შეცოდება სიმბოლურია: ანალოგიური თემის ნაწარმოებებში სხვა ავტორების გმირთა (სასულიერო პირთა) შეცოდება გაცილებით "მძიმეა" მაგრამ სინანულის შემდეგ მათ მიეტევებათ[25].

ამრიგად, წმინდა ილია მართალის პოემის მიხედვით, ოთხგზის გამოვლენილი "სისუსტის" მიუხედავად[26] ილიას გმირში ღვთიური საწყისი საბოლოოდ იმარჯვებს: მწირს **ეპატია - ეჩვენა ხატი;** შდრ.: სულისა და ხორცის ჭიდილის **მძიმე ღამეს** მწირს ერთადერთი სურვილი/ოცნება ჰქონდა:

"ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ **დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს**

---

[24] დეკანოზი ალექსანდრე, ეშმა და ეშმაკეული, წიგნიდან "ლაზარეს აღდგინება", ტ.V, გვ. 191, თბ., 1991.

[25] "თვალით ცთუნება" და "ხორცით წაბილწვა" თვისობრივად ერთი და მიტევებადი ცოდვაა მონანიების შემდეგ, თუმცა, ილია მაქსიმალურად ფაქიზად ეპყრობა ცდუნების თემას: გ. ებერსის, ლ. ტოლსტოის, ე. ზოლას, გ. ფლობერის, ა. ფრანსის, მ.ლერმონტოვის და სხვა ავტორთაგან განსხვავებით, სასულიერო პირის ხორციელი შეცოდება ილიას სიმბოლურამდე დაჰყავს

[26] წამიერი გაორება - სულიერისა და ხორციელის ჭიდილი - ბუნებრივია ყველა წმინდანის ცხოვრებაში; თვით ქრისტეს ბოლო წუთების გახსენებაც კი საკმარისია ძე-ხორციელში "ხორციელი საწყისის ხმის" მარად არსებობის წარმოსაჩენად: "და მეცხრესა ჟამსა ხმა-ყო იესუ ხმითა დიდითა და თქუა: ღმერთო, ღმერთო, რაისთვის დამიტევებ მე... და იესუ ხმა-ყო ხმითა დიდითა და განუტევა სული..." (მარკოზი, 15, 34-37); შდრ., ილია თითქმის ასეთივე შეძახილით გაიყვანს მწირს ამა სოფლიდან.

და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?.."

ღვთაებრივისა და მიწიერის, სულიერი და ხორციელი საწყისების ჭიდილი ილიას სხვაგანაც ხატოვნად აქვს აღწერილი; სამაგალითოდ მოვიყვანთ ნაწყვეტს **"მეფე დიმიტრი თავდადებულიდან":**
მეფემ როცა ჯალათი დაინახა,
"შეკრთა როგორც ხორციელი,
მაგრამ ისევ თავს უშველა,
არ დაუთმო ხორცსა სული"...

მაგრამ იქვე:
თავისიანთ დანახვაზედ
მოაგონდა ყველაფერი,
სახლი, კარი, თვისი ტომი,
ქვეყანა და თვისი ერი.
ეჰე, გატყდა რკინის გული,
მეფე მაგითი იძლია,
ამას კი ვეღარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა სძლია!
მობრუნდა და ორსავ თვალზედ
კვნესით ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა: "დამიხსენი!"
რაც გადამხდა, ისიც კმარა...

მეფე დიმიტრი შეზარა საკუთარმა სიტყვებმა:
მეფე დიმიტრი შეზარა საკუთარმა სიტყვებმა - მან დახმარება, სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა მტერს, ჯალათს; სიკვდილის შიშმა, ხორცის დათმობის შიშმა სული

დასძლია (მას კარგად ახსოვდა საკუთარი ნათქვამი: „ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს...“ ახსოვდა მღვდელმთავრის შეგონებაც: „ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით, ხორცი დასთმო სულისათვის“), ხორცმა იმარჯვა... მაგრამ ეს მხოლოდ წამით, როგორც მწირის შემთხვევაში, საბოლოო გამარჯვება ისევ სულისაა:

"სთქვა და თქმული თვით შეჰზარდა...
სახელი არ წაიხდინა...
"ჰა - ჯალათო! - დაიძახა და კისერი გაიწვდინა..."

ადამიანში ამქვეყნიურისა და მარადიულის ჭიდილისას სულიერი საწყისის გამარჯვებას ილია ორივეგან თითქმის ერთნაირად გადმოსცემს; **ეს ერთგვარობა ხაზს უსვამს წმინდანად შერაცხილი პოეტის მსოფლაღქმის სიმყარეს:** ორივეგან წმინდა კაცმა ხორცი დათმო სულისათვის; ორივე შემთხვევაში გმირი ხორციელად მოკვდა! არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლევა ვილაპარაკოთ პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ პორტრეტზე ავტორის კონცეპტუალური ხედვის გათვალისიწნების გარეშე (როგორც ამას ზოგი კრიტიკოსი აკეთებს).
შდრ., ემილ ზოლა (აბე მურე):
"აქ სიკვდილი არსებობს, და მე მსურს ეს სიკვდილი; იგია, რომ გვათავისუფლებს, გვიხსნის ყოველგვარი სიბილწისაგან"...

ილიამ მწირი სწორედ რომ სიკვდილით გაათავისუფლა წუთისოფლისგან[27]:

წამიერი გაორების გამო ხორცის სამუდამოდ მიტოვება - გარდაცვალება სხვა არაფერია, თუ არა მწირის **რწმენის, სიწმინდის, ზნეობის გამარჯვება ამქვეყნიურ ცდუნებებზე.** ხორციელი სიკვდილით, ხორცის საბოლოო უარყოფით, მასში სულიერებამ სამარადჟამოდ იზეიმა... სწორედ მწირის ამდაგვარი სიკვდილია მისი ზნეობრივი სიწმინდის ნიშანი, მასში ღვთაებრივის გამარჯვების სასწაული.

უცნაურია, ნ. გრიგალაშვილმა, გ. კალანდარიშვილმა და მ. შენგელიამ მწირის სიკვდილს თვითმკვლელობა დაარქვეს...

ზოგჯერ საეკლესიო მამებიც ცოდავენ (და ამ დროს კარგავენ სასწაულის ხედვის უნარს) , მაგრამ მონანიების შემდეგ **მადლს იბრუნებენ და ცხონებას არ კარგავენ...** წესით, ილიას ბერიც უსპეტაკეს ადამიანად უნდა რჩებოდეს მკითხველის თვალში.

უფრო ყურადღებით გავადევნოოთ თვალი მწირის შინაგან ჭიდილს:

მწირის გულში თავიდანვე დათრგუნულია ხორცი, მაგრამ მასში რომ მაინც თვლემს ყოველდღიური ცხოვრების სიტკბო, ჩანს ჯერ კიდევ ქალის გამოჩენამდე: იგი ისე შესცქერის **მზეს** მისდაუნებურად, **როგორც წმინდა ღვთისმშობლის ხატს:** „ამა უბიწო დიადის ხილვით წარტყვევნილ იქმნა განყენებული“ – „უბიწო დიადი“ „ამქვეყნიური სილამაზის“ სინონიმია, მისი ცენტრია მზე,

---

[27] შდრ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მოსაზრება დიდი მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: უფალმა დავითი განაშორა სამსხემო კედარს - ადრე წარმავალთა მხარეს.

სიმბოლო სიცოცხლისა და გამრავლებისა.. ამ ასპექტით მზის თემა უფრო წინა პლანზეა წამოწეული ემილ ზოლასთან; სიმბოლურია ისიც, რომ ალბინე და აბე მურე უკანასკნელად ჩამავალი (resp. მომაკვდავი) მზის თანდასწრებით ხვდებიან ერთმანეთს...

მწირში მიძინებული ხორცის აქტიურობა, ბობოქრობა ქალზე თვალის მიშტერებით იწყება; **ცბიერი გაორება** იკვეთება „მე უბედურსაო“ ფრაზის წარმოთქმის შემდეგ: ამ მომენტში უეცრად ასხლტა ხორციელი „მე“ სულიერზე მაღლა, უეცრად და მოულოდნელად, რაღაც მომენტში ენის მმართველ გულში ხორციელება აღზევდა...

ემილ ზოლას გმირი ამ დროს ღმერთს გმობს! ღმერთის არარსებობას ამტკიცებს! **აბე მურეს** შინგანი ჭიდილი აპოგეას აღწევს ღვთისმშობლის ხატის წინ:

„გული ალბინესკენ მიილტვოდა, მთელი სისხლი ზვირთდებოდა და ლამობდა, გადაესროლა იგი ალბინეს მკლავებში... მაგრამ უფლის მადლი მოვიდა მასზე და უხვად დაცვარა იგი; ეს იყო მხოლოდ **ერთი წამის ტანჯვა**, რამაც სისხლისგან დასცალა მისი ძარღვები, და აღარაფერი დაუტოვა ადამიანური. ახლა იგი ღვთის ნივთი იყო და მეტი არაფერი..“ ამ მომენტში მღვდელს „მოწამის გმირობა დასჭირდა, რათა ქვის იატაკზე მუხლებმიკრული დარჩენილიყო“ და ალბინეს არ შეერთებოდა [ემილ ზოლა 1964, გვ 324].

გაორების მომენტში ბეთლემელ განდეგილს ღვთისმშობლის ხატი აღარ ენახვება, ხოლო არტოს მღვდლის მიმართ „იესო ყრუ იყო“ (გვ. 342). ხორცის დაძლევის შემდეგ, მწირს ღვთისმშობელი მიუტევებს, დაამშვიდებს:

გულზედ მოეშვო... კვლავ სითბოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...

აბე მურესაც უბრუნდება უფლის მოსმენის შესაძლებლობა. ამ მომენტამდე შთამბეჭდავად მიჰყვება ერთმანეთს **მწირის და აბე მურეს** შინაგანი ბრძოლების ძირითადი პასაჟები. თითქოს თემაც ამოწურულია:

ამაღლებული ცხოვრების წესი >>> ცდუნების შესაძლებლობა >>> გამარჯვება ხორცზე >>> ღმერთისგან პატიება შინაგანი გაორების გამო.

მაგრამ არა! **ილია უფრო შორს მიდის, ვიდრე ემილ ზოლა თუ სხვა ავტორები.**

განდეგილმა ღვთისგან პატიება კი მიიღო, მაგრამ ხორციელისთვის მიუწვდომელი სასწაულის ნიშანი დაჰკარგა. დაჰკარგა ღვთაებრივი სიახლოვე, ღმერთთან იდუმალი შერწყმულობა, ამის გაცნობიერებისთანავე, განდეგილს დაუბნელდა თვალი (მაცდური) და „ღმერთოს“ ძახილით მისმა სულმა დატოვა წარწყმედილი სხეული - ამ მიზეზით მწირის გარდაცვალება სხვა არაფერია, თუ არა მისი რწმენის, სიწმინდის, ზნეობის გამარჯვება (მსჯელობისათის იხ., აგრეთვე, ქვემოთ). ამ ხორციელი სიკვდილით, ხორცის სამუდამოდ უარყოფით, მასში სულიერებამ ხორცზე საბოლოო გამარჯვება იზეიმა. **სწორედ მწირის ამდაგვარი სიკვდილია მისი ზნეობრივი სიწმინდის**

ნიშანი, მასში ღვთაებრივის გამარჯვების სასწაული[28]. ილიას ზნეობრივი კრედო და მხატვრული გადაწყვეტა ფრიად ორიგინალურია და საინტერესო.

მეტი სიცხადისთვის თვალი გავადევნოთ სასულიერო პირის განწმენდა-გამოცდის საფეხურებს ბეთლემელი მწირისა და არტოელი მღვდლის განცდების შეპირისპირებით.

მწირიცა და აბე მურეც თავიდანვე უაღრესად სათნო, ხორციელ ვნებებზე ამაღლებული, განწმენდილი ადამიანები არიან:

მწირს მთელი ცხოვრების მანძილზე „ხორცი სულისთვის უწამებია, და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი ცრემლით ურეცხავს, უსველებია“...

აბე მურეც „სრულყოფილი იყო თავისი სხეულის აბსოლუტურ დავიწყებაში“ (გვ. 34). ორივე გენიალურმა ავტორმა კარგად იცის, იციან პავლე მოციქულის განმარტება სულისა და ხორცის შესახებ, რომ ხორცი ცდუნებაა, მახეა სულისთვის; მათ გმირებს გაცნობიერებული აქვთ ადამიანის მიზანი: **ადამის შეცოდებით** (ევას გზით აცდუნა სატანამ!) **სული, ღვთაებრივი სიკეთე, რომელიც წუთისოფლის ტყვედ იქცა; იგი უნდა გათავისუფლდეს ცოდვისაგან, ვნებისაგან და დაუბრუნდეს პირველსახეს.**

წუთისოფელში ყველაზე რთული და მოკლე გზა მიზნის მისაღწევად თვითგვემაა, მარხვაა, ხორცის (resp. ბოროტების) უარყოფაა, ამქვეყნიური სიამენის უარყოფაა...

ტოლ-სწორის, დედა-მამის, ხორციელი სიცოცხლის შეხსენებაზე მწირი მწყემს ქალს პასუხობს:

---

[28] უცნაურია, ნ.გრიგალაშვილმა, მ.კალანდარიშვილმა და მ.შენგელიამ მწირის სიკვდილს თვითმკვლელობა დაარქვეს.

"ყველაზედ უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.

არც ერთ სასულიერო პირს ცდუნების არ ეშინია; მწირი ამბობს:
"თუ მაცდური ხარ, სჩანს, ღმერთს სწადიან,
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!.."

ქალის სახით უფლისგან მოვლენილი განსაცდელი მწირმა **"კისრად იდო, ვით ნება ღვთისა, სასოებით და გულდამშვიდებით".**
ანალოგიურია აბე მურეს სიმყარე (ქრისტე ღმერთიც ხომ გამოიცადა უდაბნოში)**:**
„მას აგონდება ლაპარაკი ცდუნებაზე, როგორც საზიზღარ წამებაზე, რომელსაც განიცდიან ყველაზე უფრო წმინდანებიც კი. ის იღიმებოდა: ღმერთს იგი არასოდეს დაუტოვებია“.
ორივე ნაწარმოებში ხორციელი (მიწიერი) ცხოვრების გაუცნობიერებელ იმპულსებს (რომლებიც წმინდანთა სხეულებში თვლემენ), მიძინებულ ხორციელ „მეს“ **მხურვალე მზე ეხმიანება - აცოცხლებს:** "განდეგილში" მზე სიმბოლოა სისხლსავსე სიცოცხლისა, ვნებისა, გამრავლებისა (შდრ., ნ. გრიგალაშვილი: „მზე - ღვთის ხატი“). ილიასთან ეს ოსტატურადაა მინიშნებული ქარიშხლის წინ:
სულიერ მწირსაც და ხორციელ ქალსაც ამქვეყნიური მზე ერთნაირად აჯადოებს (შდრ.: აკაკი ბაქრაძე, გვ.84);

წუთისოფლური სილამაზე მწირის ცნობიერებაში პირველად სწორედ ამ დროს გაუტოლდა ღვთაებრივს:

მწირი "და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას, შესცქერდა მზესა განცვიფრებული".

შდრ., **მწყემსი ქალი:**

"ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა".

მზის თემა უფრო გაშლილადაა ემილ ზოლასთან:

აბე მურე, სერჟად ქცეული, მიილტვის მზისკენ; ამომავალი მზე მისთვის მაცოცხლებელია: „ხვალ ფარდებს მზე მოადგება, მე მოვრჩები“, „შენი ხელი ახლა თბილია, იგი მზესავით კარგია“, ეუბნება იგი ალბინეს...

ნატურალისტი ემილ ზოლა უფრო აკონკრეტებს სათქმელს: „მზის სიმხურვალით გულაჩუყებულს, კვლავ განაყოფიერება ეზმანებოდა“... (გვ. 128, 143, 145, 376).

შდრ.: პარადუმდეც და პარადუდან დაბრუნებლი, უკვე გაწონასწორებული მღვდელი ერიდება მზეს (გვ. 31, 145).

ორივე ავტორთან მიწიერი „მზე" ახალგაზრდა სისხლსავსე ლამაზი ქალია:

ემილ ზოლა: „როდესაც თვალს ვხუჭავდი, შენ აინთებოდი, როგორც მზე, და შენს ალში მხვევდი... მაშინაც მე გადავლახე ყველაფერი და, აი, მოვედი“...

ქართველი ავტორი ანალოგიურ ეფექტს გონებამახვილური პარალელით ახდენს:

მზემ მწყემსი ქალის ჯერ თვალი მიიტაცა, შემდეგ კი - გული; შდრ.:

მწყემსმა ქალმა მწირის ჯერ თვალი დაატყვევა, შემდეგ გულიც:

"აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა".

აქვეა სამსჯელო სულის, გულისა და ენის მიმართებაც:
გული - ადამიანის განცდათა, გრძნობათა, განწყობილებათა სიმბოლო ილიასთან, ამავე დროს, განსჯასაც, გონებასაც მოიცავს; მას უპირისპირდება **თვალი** - მიწიერი სილამაზის აღმქმელი და **სული** - მარადიული მშვენიერების განმცდელი. გული სიამოვნებას განიცდის. ერთ შემთხვევაში სიამოვნება სულისგან მოდის, მეორეში - ხორცისგან; გაოგნებული მწირი

"დიდხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰსძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
...როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?"

მსგავსი **განსჯითი გაორებაა** (და არა იმპულსური!) აბე მურესთანაც:
პარადუს შემდეგ იწყება აბე მურესა და სერჟის ბრძოლა ერთ სხეულში: საყდრიდან ალბინეს წასვლის შემდეგ მურე ადარებს თავის ორ ახალგაზრდობას: **ყრმობას სასულიერო წრეში** და **პარადუში გაღვიძებული ყრმობას:**

„თავის პირველ ახალგაზრდობაში არასოდეს უწვნევია ასეთ სიამოვნებათა მოზღვავება, ეს პირველი ახალგაზრდობა, თუ ამჟამად მოიგონებდა, **მზეს მოშორებული** (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.), უმადლო, უფერული, უძლური, მთლად შავი ეჩვენებოდა. ამიტომაც იყო, (პარადუში) ასე აღტაცებული მიესალმა **მზეს**.“

ხორციელების აღზევების პერიოდში მწირიცა და მღვდელიც ღვთისმშობლის ნაცვლად ხორციელ ქალს ხედავენ.

ორივე ნაწარმოებში ქალის მიმართ განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება სიტყვებს: **„უბედური“ და „წყეული“, „მაცდური“.**

მწირის ცნობიერი გაორება იწყება მისდაუნებურად ამოცდენილი ფრაზის - **„მე... უბედურსა“** - შემდეგ:

თავდაპირველად მწირის „უბედურება“ მწყემსი ქალის თვალთახედვაა, ხორციელი ხედვის სახეა; ქალის ხორციელმა მემ სტიმული მისცა განდეგილში მთვლემარე ხორციელი საწყისის გამოღვიძებას; ეს გამოღვიძება მოსალოდნელიც იყო მზით ტყვედქმნილობისა და დაყუდებულის შიშის შემდეგ („მწირს ხმა ეოცა.. ქალის ხმას ჰგვანდა... შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან“)... ფსიქოლოგიურად ეს ყველაზე საინტერესო მომენტია:

ენას (მეტყველებას) გული მართავს, გულს კი ხან სული, ხან - ხორცი. როცა მწირის გული სულის მორჩილია, ამ დროს ის ამბობს ყველაზე რელიგიურ ფრაზას:

"ყველაზედ უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.

თუმცა, განდეგილის გულში ხორციელი მე სწრაფადვე, მაგრამ მცირე დროით იძალებს სულიერ საწყისზე და მისი ენა საპირისპირო ფრაზას ამბობს:

„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

„გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ... ვით მოადგა იგი ენაზედ?“ **გულში ისევ სულიერი საწყისი იმარჯვებს[29];** მწირი ამბობს:

„არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს!
არ გასწირავს სულს შევედრებულსა“...

ცნობიერი ჭიდილის მეორე ეტაპზე (მძინარე ქალის ყურებისას) დაპირისპირება უკვე ზენიტს აღწევს, მწირი საკოცნელად იხრება. ეს გაორების მესამე სტადიაა (იხ., ზემოთ) **აქ საბოლოოდ იძლევა ცდუნება:**
ღვთისმშობლის ხატის წინ მწირი ქალს „წყეულად“ მონათლავს (ილია, იქვე „წყეულს“ სხვა შემთხვევაშიც

---

[29] შდრ.: არც ემილ ზოლას და არც ილია წავჭავაძის ქალ პერსონაჟებს მსგავსი გაორების პრობლემა არ აქვთ; ისინი მხოლოდ ხორციელ სამყაროს განასახიერებენ: მწყემსი ქალის გულს ხორციელი საწყისი მართავს; იგი ამბობს: „მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, - კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!.. მწყემს ქალს უკვირს, სულისათვის ხორცის გაწირვა, მწირის უწუთისოფლოდ გაძლება და ტოლ-სწორის მიტოვება; მას ეს არ შეუძლია: "ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას! ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..“ (ანალოგიურია ემილ ზოლას ალბინესა და დეზირას ცხოვრების ფილოსოფიაც).

ანალოგიური მნიშვნელობით ხმარობს: „ნუთუ ღვთის-მშობლის საფარველ-ქვეშეც წყეული ხორცი არ დაწყნარდება!..“).

ხორცისა და სულის გაუცნობიერებელი ჭიდილი აბე მურეში ალბინეს გაცნობის დღეს დამთავრდა; პარადუს „დაბრუნე-ბული ახალგაზრდობის“ შემდეგ იწყება ცნობიერი გაორების პერიოდი. პირველ ეტაპზე ამ შემთხვევაშიც თითქოსდა სულს მარცხი არ ემუქრება, მაგრამ ალბინეს ავადმყოფობის გაგების შემდეგ „მღვდელს „სიტყვა ვერ ეპოვა, თავი ჩაღუნა, დაბარბაცდა“ (გვ, 303)...

შინაგანი დაპირისპირება მაქსიმალურია **ალბინეს საყდარში მოსვლის ჟამს:** „მღვდელი უცქერდა ქალს, თავს იმაგრებდა ცდუნების წინააღმდეგ, თანაც თვალს ვერ აშორებდა **მაცდურს**. ალბინე გაზრდილი ეჩვენა... თეძოები თავისუფლად უგორავდა; გულ-მკერდი ვარდივით გადაფურჩქვნილიყო“ (გვ.326)[30]...

საყვარელი ალბინეს „მაცდურად“ სახელდება მღვდელში ხორცის ძლევის ნიშანია... ალბინეს წასვლის შემდეგ კიდევ გრძელდება სასტიკი შინაგანი ბრძოლა ხორციელსა და სულიერ საწყისებს შორის (ამ დროს აბე მურე ღმერთის არარსებობასაც ამტკიცებს და იჯერებს!). უკან, პარადუშიც მიბრუნდება აბე მურე, მაგრამ საბოლოოდ დამარცხებულია სისხლსავსე სერჟი: ალბინე სამოთხისებრ ბაღში „უსიტყვოდ იდგა ამ **უბედურის** პირისპირ, რომელიც მის ფეხებთან ცახცახებდა“ (გვ. 380)...

---

[30] **"აბე მურეს" ეს ეპიზოდი ძალიან ჰგავს მწყემსი ქალის მისვლას ბერის სენაკში.**

აშკარაა, რომ ორივე ნაწარმოებში სასულიერო პირის (პიროვნების) „უბედურად“ დასახვა ხორციელი „მესგან" ხდება; ერთ შემთხვევაში, მეტყველია წამით ხორცზე აღზევებული ხორციელი „მე“ (მწირის ხორციელი საწყისი), მეორეში - ჩვეულებრივი ხორციელი სუბიექტი (ალბინე).
ამგვარად, ორივე სასულიერო პირის ცნობიერებაში მოხდა შინაგანი გაორება, ორივემ დასძლია ცდუნება, გაიმარჯვა სულმა ხორცზე და უფლისგან პატიება ორივემ; მიიღო ღვითსმშობლის ვერხილვის შემდეგ მწირი მწარედ ფიქრობდა:

"ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?"

დილით განდეგილმა კვლავ ნახა ცხოველი ხატი:

"მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!.."

აბე მურემაც მიიღო პატიება; მოვიყვანთ ფრაგმენტებს მისი მონოლოგიდან:
„ოჰ, ღმერთო ძლიერო! შენ უკვე მომიტევე შეცოდება ჩემი. ოჰ, ღმერთო! იმ წუთს, ოდეს დაგტოვე, შენი მფარველობა ყველაზე უფრო ნამდვილი და ძლიერი იყო..“ მღვდლისთვის „ქვეყანა აღარ არსებობდა, ცდუნება ჩამქრალიყო, ვითა ხანძარი, რომელიც ამიერიდან უსარგებლო იყო ამ ხორცის განსაწმენდად. აბე მურე შედიოდა **ზეადამიანური** განსვე-ნების წიაღში.“

სულისათვის ხორცის გაწირვა, ანუ სულის ხსნა ყველგან არის, ამბობს მწირის პირით ილია; ილიას მიერვეა შექმნილი საერო და სასულიერო პირთაგან თავგანწირვის - ხორცის გაწირვის ნიმუშები (მწირი, მეფე); ორივე თხზულებაში ხაზგასმულია სულისაგან ხორცის ძლევა ანუ თვითხსნა. ამდენად, თითქოს თანაბარი ასპარეზი უნდა იყოს პოეტისათვის ერისკაცობაც და ღვთისკაცობად; ამასვე უნდა ადასტურებდეს მისი ახალგაზრდობისროინდელი გაორებაც: **ბერად შედგომაც უნდა და გარიბალდის რაზმში წასვლაც.**

უფლისგან სასულიერო პირსაც და საერო პირსაც აქვს შესაძლებლობა, დაიმკვიდროს სასუფეველი (იხ., მაგ., სასულიერო ხასიათის იგავი წმინდა ბერისა და სამეძაო სახლის პატრონის სულთა თანაბრობის შესახებ.) - "ხსნა ყველგან არის"[31]. თავად ილია საერო მოღვაწეობას არჩევს, მაგრამ მასში ყოველთვის ცოცხალია კითხვა: ხომ არ სჯობდა განრიდებოდა მიწიერ ცხოვრებას და ისე ეღვაწა ერისათვის? **ეს მარადიული დილემა ყველა მოღვაწეს აწუხებს.**

როგორც აღინიშნა, „განდეგილში" მწირის შინაგანი გაორება სწორედ ამქვეყნიური (ლამაზი) და მარადიული ცხოვრების დაპირისპირების ფონზე ხდება. ხორციელი ცხოვრების წარმომჩენია მწყემსი ქალი (შდრ. ალბინე, დეზირე), მარადიულისა კი - მწირი; წარმოდგენილია ორივე მხარის არგუმენტები. ვფიქრობ, ემილ ზოლასგან განსხვავებით, "განდეგილის" ავტორი ბერის მხარესაა: ამქვეყნიური ცხოვრების სახე-სიმბოლოს - მწყემსი ქალის მსჯელობა

---

[31] შდრ. გ. გვაზავა: „ადამიანს უკვდავებისაკენ მიმავალი მხოლოდ ერთი გზა უნდა სწამდეს, სახელდობრ, გზა ამქვეყნიური სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრებისა; მწირის გზა მცდარია"...

ზედაპირულია, ხოლო წუთისოფლის გმობის თემა კი სიღრმისეულია (სწორედ ამიტომაც წერდნენ თანამედროვე-ნი, რომ ილია ცხოვრებას შემოსწყრა); ილიამ ბეთლებელი მწირი წარმოგვიდგინა, როგორც უფლისა და ერისათვის მებრძოლი[32].

ხორციელი სამყაროს მძაფრი კრიტიკა ილია ჭავჭავაძეს სხვაგანაც აქვს გამოთქმული; მაგ., 80-90-იანი წლების "შინაურ მიმოხილვებსა" და მხატვრულ ნაწარმოებებში ილია შავი ფერებით ხატავს აწმყოს:

„შარშანაც, როგორც წინა წლებშიაც, იგივე შური და მტრობა იყო გააფთრებული, ძმა ძმას ვეღარა ნდობია, მამა - შვილსა, შვილი - მამასა, მეზობელი - მეზობელს, მახლობელი - მახლობელს, მეგობარი - მეგობარს, - განა ესაა ცხოვრება და არა ჯოჯოხეთი“ (1895 წ.)...

„უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვდის“ (1897 წ.)... „კითხვა-პასუხში“ ილია ასე აფასებს თანამედროვე საქართველოს:

"მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი!..
ვაი ძე ჩემი ბედკრულ-უძლური!..
იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური..."

შდრ., ფრაგმენტები „განდეგილიდან“:

"განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,

---

[32] შდრ.:

ზ. კიკნაძე: „ილიას სურდა, დასურათხატებით ეჩვენებინა განდე-გილის უაზრობა და უნიადაგობა“.

სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა,
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღედაღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი,
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი,
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა".

შდრ., მწირის (თუ თავად ავტორის) პოზიცია:
სული წუთისოფლის ტყვე არის; მისი ბორკილებია: თვისტომი, ტოლი, სწორი, სახლ-კარი, და-ძმა (ამქვეყნიური ცხოვრების ძირითადი კატეგორიები - ტ.ფ.).
ანალოგიურად ხედავს ყოველდღიურ ცხოვრებას აბე მურეც; სულ სხვაგვარია „ხორციელ მზეთა“ თვალთახედვა:
მწყემსი ქალი:
„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი, რარიგ ტკბილია?!
აქ სიკვდილია, ის კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და ის კი ლხინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი -
ყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია?
არ გაგონდება არც მამა, დედა,

ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!"

ალბინე: „და შენ აქ ცხოვრობ სიკვდილის წრეში!) ბალახი, ხე, წყალი, მზე, ცა - ყველანი სულს ლევენ შენს ირგვლივ“ - უთითებს მომაკვდავი ქრისტეთი გამოსახულ ჯვრებს და ამუნათებს აბე მურეს...

აბე მურე: „აქ სიკვდილი არსებობს, და მე მსურს ეს სიკვდილი; იგია, რომ გვათავისუფლებს, გვიხსნის ყოველგვარი სიბილწისაგან..“ (გვ.337)...

მწირიც სიკვდილით გათავისუფლდა ბეთლემში („წმინდა სახლში“) შემოღწეული წარმავალი სილამაზისაგან“.

ფაქტია, რომ „განდეგილში“ ილია მართლაც შემოსწყრა ყოველდღიურ სამყაროს (ყოველ აწმყოს და არა მხოლოდ მისდროინდელ **აწმყოს!), მაგრამ ეს სულაც არაა ილიას პესიმიზმის გამოვლინება ან განდგომა!**

პირიქით, ილია ამ ნაწარმოებითაც ცდილობს ადამიანთა გაკეთილშობილებას „სარკეში ჩახედებით“ (როგორც „კაცია-ადამიანით“, „ბედნიერი ერით“ და ა.შ.)... ის აწმყოს (ყოველდღიურ სამყაროს, წუთისოფელს, სამსხემო კედარს) რელიგური, მარადიული თვალით უყურებს და გული სტკივა ზნეობრივი დაღმასვლის გამო.

მიწიერ ცხოვრებაზე მწყემსი ქალისა და ალბინეს წარმოდგენები, მათი არგუმენტები წუთისოფლის სილამაზის შესახებ პრიმიტიულია და ცალსახა; მათში ღვთაებრივი სული მიძინებულია; გულს წარმართავს ხორცი, ვნება. მათი გონება ვერ სწვდება ღმერთს... ილია ჭავჭავაძისა და ემილ ზოლასთვის ქალები მეორეხარისხოვანი

პერსონაჟები არიან; ამიტომაცაა: მწყემსი ქალი ილიამ მძინარე "გაიყვანა" სიუჟეტიდან, ხოლო ალბინე ემილ ზოლამ უკანონო ბავშვთან ერთად დაასაფლავა.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ზოლა ხბოს დაბადებით ამთავრებს რომანს (ალბინეს პროტოტიპი დეზირე რჩება მურესთან მარადიულ ოპოზიციაში); ილია კი საერთოდ აღარ უბრუნდება მიწიერი, ადამიანური სიცოცხლის თემას: ზოლასთან, მთლიანობაში, სულიერებაც გამარჯვებულია (აბე მურეში) და ყოველდღიური სიცოცხლეც (დეზირეს ძროხამ ხბო მოიგო ალბინეს საფლავში ჩაშვების წამს!). ილიასთან ძირითადია სულის ხორცზე გამარჯვების პრობლემა, ამ თვალსაზრისით, **ილია ჭავჭავაძე უფრო რელიგიურია, უფრო მეტადაა ამაღლებული თანამედროვეებზეც და, ზოგადად, წუთისოფელზეც.**

აქვე უნდა ვუპასუხოთ კითხვას:

იცნობდა თუ არა ილია ჭავჭავაძე ემილ ზოლას რომანს?

არ არის გამორიცხული 1875 წელს დაბეჭდილი რომანი ყოფილიყო ერთ-ერთი ბიძგი ბეთლემელი მწირის ლეგენდის საფუძველზე (ხალხური წყაროების შესახებ იხ. თ. ჯვარიძე, „ჯვარი ვაზისა“, 1987, N1) მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. მოარულ, ზოგად ფაბულებზე სხვადასხვა სიუჟეტების შექმნა ჩვეულებრივი ამბავია (ამის შესახებ იხ. მ. თოდუა „ვეფხვის ნახტომი ანუ რითი სჯობია რუსთაველი შექსპირსა და გოეთეს").

ასეთ შემთხვევებში არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი ავტორი რა სიღრმითა და დამაჯერებლობით აღწერს ადამიანურ პრობლემებს; **ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის მიღწევა თვალსაჩინოა.**

III თეზა.
ცოცხალი ადამიანი სრულად ვერასოდეს დათრგუნავს ხორციელ ვნებებს

მონასტერში დილით შებრუნებულ მწირს და პარადუდან მეორედ დაბრუნებულ მურეს **აღარ ახსოვთ არც საკუთარი ხორციელება და არც მაცდური, წყეული ქალი;** მათში საუკუნოდაა გამარჯვებული ღვთაებრივი სულიერება. წესით, ფრანგი თუ სხვა ავტორების მსგავსად, ქართველი ავტორის ნაწარმოებიც ამ ტონზე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ **ილია აგრძელებს სხივის ეპიზოდს** და გვეუბნება: წუთისოფელში სულს არ შეუძლია ხორცისგან სრულიად გათავისუფლება; ადამიანის სრულყოფას საზღვარი არა აქვს, სანამ ის ხორციელ გარსშია, რომ სულის სრული განწმენდა მხოლოდ სიკვდილით, მოწამეობრივი სიკვდილით ხდება.
შდრ. დ. უზნაძე:
განდეგილმა „თავისი ძლიერი ნებით მხოლოდ ზეციურისკენ იწყო ლტოლვა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ადამიანის ნება მაინც ადამიანისაა და მისი აბსოლუტური სრულყოფა შეუძლებელია..“
სხივის სასწაული ემილ ზოლასთანაც გვხვდება (გვ. 351), მაგრამ მას ნაკლებ ესთეტიკური და ნაკლებ სიმბოლური დატვირთვა აქვს; აბე მურე მასზე (სხივზე) ამბობს: „შეიძლება ეს იყო მადლი უფლისა, ციდან ნათელი ბილიკით რომ ბრუნდებოდა“...
სხივის მიერ ლოცვანის "არ დაჭერის" ეპიზოდმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ მწირი დამარცხდა. ვფიქრობ, განსხვავებულადაც შეიძლება ამ ეპიზოდის გააზრება:

ილია გვეუბნება: ღმერთს შეუწირავს ბეთლემელი მწირის ლოცვა-ვედრება და **ბერის მადლის** ნიშნად მოუვლენია სასწაული: დილის ლოცვისას ბერი თავის ლოცვანს სხივს მიაყრდნობდა:

"როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრებდა...
და თვის სიწმიდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა".

ბერის მყისიერი გაორების შემდეგ სასწაულთმოქმედი სხივი სვეტად კიდევ ჩამოეშვება, მაგრამ ლოცვანს აღარ დაიჭერს: ხორციელი მეს წამიერი გაბრძოლების გამო **მწირმა დაკარგა უფლისმიერი სასწაულის ხილვის უნარი, მაგრამ სინანულის შემდეგ მას ეპატია შეცოდება:** სვეტად ჩამოშვებული სხივი ლოცვანს აღარ იჭერს, მაგრამ სხივი სვეტად ისევ ეშვება და **ბერს ნუგეშით ისევ გადმოჰყურებს ღვთისმშობლის ხატი** (რომელიც გაორების ჟამს ემალებოდა; იხ., ზემოთ).

აშკარაა, რომ ილიას მიხედვით, განდეგილმა ღვთისგან პატიება კი მიიღო; კერძოდ, პოეტი წერს:

"კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა"...

თუმცა, მწირმა სხვა ხორციელისთვის მიუწვდომელი სასწაულის ნიშანი დაკარგა, დაკარგა ღმერთთან იდუმალი

შერწყმულობა. ამის გაცნობიერებისთანავე განდეგილს დაუბნელდა თვალი (მაცდური) და `ღმერთო"-ს ძახილით, ანუ მხოლოდ უფალზე ორენტირებით, "უტევა სული". ბერი სრულად გათავისუფლდა ხორციელებისგან; **უფალთან მისაახლებლად ბერმა ხორციელი "სამოსი" საბოლოოდ დათმო:**

"ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა და იქავ სხივქვეშ უტევა სული".

ვფიქრობ, ილიას ეს ფრაზა ალუზიაა განკაცებული უფლის ბოლო სიტყვების:

"ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევე მე".

ამ ფრაზის სხვადასხვანაირი გააზრება არსებობს; თუ საკუთრივ წმინდა წერილიდან ამოვალთ, რთული არ არის მიხვედრა, რომ სახარებისეული ფრაზა ორ სწავლებას შეიცავს:

- ამქვეყნიური სამყარო - ხორციელი სამყარო - "სულის მახეა"; ხორციელ სამყაროში ხორციელი ვნებები ბობოქრობს; წარმწყმედი ვნებებით სავსე ამქვეყნიურ სამყაროში - წუთისოფელში - წარმავალი სიცოცხლე არაფერია; მთავარია მარადიული სამყაროსთვის მზაობა; ხორციდან გასვლა კი სულის გათავისუფლებაა.

- განკაცებულ ღმერთსაც კი არ შეუძლია ხორციელი ტკივილისა თუ ვნების სრული იგნორირება.

დასკვნითი დებულებების ნაცვლად:

1. ამპარტავანი, საწყალობელი, უიდეო, უპიროვნო, ბრმა ფანატიკოსი, ეგოისტი, ბოროტი, უსაქმო მლოცველი, ლაჩარი, თვითმკვლელი, დაცემული, დამარცხებული, დაღუპული, არაქრისტიანი... **კრიტიკოსთა უმრავ-ლესობა დღემდე ამ ტერმინებით ამკობს ბეთლემელ მწირს...**

ჩემი აზრით, ილია ბეთლემელ მწირს ღვთის კაცად მიიჩნევს და გვეუბნება:

ადამიანის სრულქმნა არასოდეს იქნება სასრული. მიწიერ ცხოვრებაში ადამიანი უნდა ეცადოს სრულ-ყოფილებას, ღმერთთან მიახლოებას, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ სანამ ღვთიური სული ხორციელ ჭურჭელშია, ღვთაებასთან სრული შერწყმა შეუძლებე-ლია. ეს უბიწო განდეგილმაც კი ვერ შეძლო, განდეგილმა, რომელმაც, როგორც ზნეობრივმა გმირმა, „ხორცი დათმო სულისათვის...“ განდეგილის სიკვდილი, ერთი მხრივ, ხორციელ ქმნილებაში ზნეობის, მეობის გამარჯვებაა, ამდენად, მოწოდებაა, „ბეთლემისაკენ“, მეორე მხრივ კი, მიწიერ ცხოვრებაში ხორცის აბსოლუტური უარყოფის შეუძლებლობის ჩვენებაა...

გარკვეული ასპექტით, ასეთი პოზიცია ავტორის (resp. ადამიანის) სისუსტეების თვითგამართლებაცაა. იმავე სისუსტეებმა „შვეს“ „გალობანი სინანულისანი“... ხსნა ყოველთვის მოვა, თუკი უერთგულებ ღვთიურ იდეალებს; საერო ცხოვრებაშიც იპოვი გზას, რომელიც ზნეობრივ-ეროვნულ უსასრულო მდინარებას შეუერთდება (ზნეობა და ეროვნულობა ხომ ერთი ფურცლის ორი გვერდია), მდინარებას, რომელიც ღვთიური მადლის სახით უკანვე უბრუნდება კაცობრიობას. წარწყმედისაგან კაცთა, ზოგადად, ქვეყნიერების, ხსნა ლოცვითაც შეიძლება და საერო მოღვაწეობითაც. ლოცვაც და საზოგადო მოღვაწეობაც ერთ მთლიანობას - აბსოლუტურ სიკეთეს - მიემართება. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, მწირიც და მეფე დიმიტრიც ერთი სულის ორი სხვადასხვა განსხეულებაა, **ეს ერთი სული თავად ილიაა.**

საბჭოთა (პერიოდის) კრიტიკოსები ხელოვნურად ცდილობდნენ დავით გურამიშვილისეული წუთი-სოფლის გმობა პირადი, ან თუნდაც მხოლოდ ერის ტრაგედიით აეხსნათ; გურამიშვილი, პირველ რიგში, სულის პოეტია, მისტიკოსია; წუთისოფლის მისეული შეფასება მარადიული სამყაროს თვალთახედვით ხდება. „განდეგილში“ ილია გურამიშვილის ხაზს აგრძელებს. პიროვნული თვითხსნის - ხორციელი ვნებების (ამპარტავნობა, ავხორცობა, მუცელღმერთობა, სხვისი უბედურებით ფუფუნების შექმნა..) დათრგუნ-

ვის გარეშე, შეუძლებელია ოჯახის, ერის, კაცობრიობის გადარჩენა წაწყმედისაგან...

2. **"განდეგილში"** ილია შთამბეჭდავად და ეფექტურად აღწერს თავის თანამედროვე აწმყოში **ერის ზნეობრივი მდგომარეობის დაღმასვლას;** იგი თანამედროვეთ (თუ მომავალ თაობებს) სთხოვს, წუთისოფელში ხორციელი ვნებების დათრგუნვასა და რწმენის სიმყარეს. ავტორის მიერ **წუთისოფლისადმი გამოხატული გულისწყრომა** (მსგავსად "კაცია-ადამიანისა", "ბედნიერი ერისა" და ა.შ.) არ არის წმინდა ილია მართალის პესიმიზმი ან აქტიური ცხოვრებიდან განდგომის ქადაგება; მისი მიზანია ერის გადარჩენა **საზოგადოებაში მაღალი ზნეობის დამკვიდრებით.**

3. ევასგან ცდუნებული ადამის შთამომავლობაში აღზევდა ხორციელი ვნებები (ავხორცობა, ამპარტავ-ნობა..); ღმერთმა ისინი წარღვნით დასაჯა, შემდეგ შეეცოდა ადამიანები და ნოეს მოდგმას პირობა მისცა, აღარ აღგვიდა მათ პირისაგან მიწისა. ერთენოვან კაცობრიობაში ამპარტავნობამ იძალა; ადამიანთა სამყა-რო მორიგი წარწყმედისაგან რომ ეხსნა, უფალმა კოსმოპოლიტურ საზოგადოებას ენები აურია (რომ მკრეხელობა ბოლომდე ვერ მიეყვანათ). ბაბილონის გოდოლზე ენების გაჩენით იწყება კაცობრიობის ახალი პერიოდი: ადამიანს მიეცა მესამე ნიშანი (resp. მარკერი)

- ეროვნება (პირველი ნიშანი: მამრი/მდედრი; მეორე - კეთილი/ბოროტი).

ადამიდან მოყოლებული სუბიექტი ცდილობს, ხორციელი ვნებების დათრგუნვით **თვითხსნას;** თვითხსნის პარალელურად ძლიერი პიროვნება სხვების გადარჩენისთვის ზრუნავს; ზრუნვის აღმატებული სახეობა ლოცვაა. **სწორედ სხვისთვის ლოცვა ხორციელი პიროვნების მეოთხე უმთავრესი თვისებაა**. უფლის მიერ **ადამიანის ჩამოძერწვის უკანასკნელი სიმაღლე კი რწმენისათვის სიკვდილია - სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვაა** (ქრისტეს მისტერია!).

რწმენისთვის სიკვდილი ადამიანში ღმერთის საბოლოო გამარჯვება და სხვების (სამშობლოს, კაცობრიობის...) ხსნისკენ გადადგმული შთამბეჭდავი ნაბიჯია. ამ ადამიანურ მწვერვალს მიუძღვნა წმინდა ილია მართალმა თავისი უკანასკნელი პოემა.

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge